უმაღლესი განათლების ექსპერტთა ჯგუფი

უმაღლესი განათლების რეფორმის ექსპერტთა (შემდგომში - ექსპერტები) ჯგუფის ამოცანაა ლისაბონისა და ბოლონიის პროცესების განხორციელების მხარდაჭერა საქართველოში. ექსპერტთა ჯგუფი უზრუნველყოფს კონსულტაციებს როგორც ეროვნულ, ასევე ინსტიტუციურ დონეზე ქვემოთ მოყვანილ სფეროებში:

- ✓ (შიდა და გარე) ხარისხის უზრუნველყოფა;
- ✓ უმაღლესი განათლების სამსაფეხურიანი სისტემა: კურიკულუმის განვითარება, კვალიფიკაციების ეროვნული და ევროპული ჩარჩოები (NQF/EQF), თუნინგი;
- ✓ აღიარება (ECTS, დიპლომის დანართი, ევროპასი, აღიარების ლისაბონის კონვენცია);
- ✓ სტუდენტთა მომსახურება.

კონსულტაციებისა და საჯარო პრეზენტაციების გარდა, ექსპერტთა მუშაობის ერთ-ერთ ფორმატს წარმოადგენს ადგილობრივ და საერთაშორისო სემინარებსა თუ კონფერენციებში მონაწილეობა, რეკომენდაციების/გზამკვლევების შემუშავება უმაღლესი განათლების რეფორმის კონკრეტულ საკითხებთან მიმართებაში და შესაბამისი კვლევების განხორციელება/ზედამხედველობა.

მონაწილეობა საერთაშორისო კონფერენციებსა და სემინარებში

ქართველი ექსპერტები მონაწილეობდნენ როგორც ევროკავშირის, ასევე სხვა ორგანიზაციების მიერ გამართულ სემინარებსა და კონფერენციებში - დეტალური სია იხ. ქვემოთ. ღონისძიებები შეირჩა საქართველოში მიმდინარე რეფორმისათვის მათი მნიშვნელობის მიხედვით.

ტემპუსის ეროვნული ოფისისა და ექსპერტების მიერ შემუშავებულ იქნა ანგარიშის სპეციალური ფორმა, რომელიც ზოგადი ინფორმაციის გარდა აუცილებლად უნდა შეიცავდეს რეკომენდაციებს:

1) ზოგადი ინფორმაცია ღონისძიების შესახებ – პროგრამა, მონაწილეები
2) მთავარი იდეა
3) ღონისძიების მნიშვნელობა საქართველოსათვის
4) რეკომენდაციები რელევანტური ორგანიზაციებისათვის (უსდ-ები, სამინისტრო, აკრედიტაციის ცენტრი, და ა.შ.)

საქართველოში დაბრუნების შემდეგ ექსპერტები რეგულარულად მართავდნენ სავალდებულო საინფორმაციო სემინარებს უსდ-ებისა და სამინისტროს წარმომადგენლებისათვის *(იხ. ანგარიშები და რეკომენდაციები).*

ქართველ ექსპერტთა ჯგუფი 2009 – 2013

უმაღლესი განათლების ქართველ ექსპერტთა ჯგუფში მონაწილეობენ როგორც სახელმწიფო და კერძო უმაღლესი საგანმანათლებო დაწესებულებების, ასევე განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლები.

სახელი	*ორგანიზაცია*	*საექსპერტო სფერო*	*წლები*
მიხეილ ბასილაია	თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (სტუდენტი)	სტუდენტთა მობილობა, აღიარება	2009 – 2011
ლალი ბაქრაძე	განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო; განათლების განვითარების ინსტიტუტი	კვალიფიკაციების ეროვნული ჩარჩო, თუნინგი, მობილობა, აღიარება	2009 – დღემდე
ქეთევან გურჩიანი	ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	ხარისხის უზრუნველყოფა, მობილობა, კვალიფიკაციების ჩარჩო	2009 – დღემდე
ირინე დარჩია	თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ხარისხის უზრუნველყოფა, თუნინგი, კურიკულუმის შემუშავება	2009 – დღემდე
თინათინ ზურაბიშვილი	თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი	ხარისხის უზრუნველყოფა, კურიკულუმის შემუშავება	2009 – 2012
აბდულ კახიძე	ბათუმის საზღვაო აკადემია	ECTS, ხარისხის უზრუნველყოფა	2009 – დღემდე
დავით კერესელიძე	განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი, New Vision უნივერსიტეტი	ხარისხის უზრუნველყოფა, კვალიფიკაციების ჩარჩო	2011 – დღემდე
გიორგი ჩანტლაძე	ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი (სტუდენტი)	სტუდენტთა მომსახურება, ხარისხის უზრუნველყოფა	2011 – დღემდე

მონაწილეობა უმაღლესი განათლების რეფორმაში

ექსპერტები აქტიურად მონაწილეობდნენ

- ✓ კვალიფიკაციების ეროვნული ჩარჩოს შემუშავებაში განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სამუშაო ჯგუფის ფარგლებში;
- ✓ სადოქტორო განათლების პერსპექტივები - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან ერთად;
- ✓ საქართველოში უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების სიტუაციური ანალიზი – არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების კონსორციუმის პროექტი;
- ✓ ავტორიზაციისა და პროგრამული აკრედიტაციის კრიტერიუმებისა და პროცედურების განახლება/შემუშავება.

ექსპერტთა მთელი ჯგუფი მონაწილეობდა ტვინინგის პროექტში "საქართველოში ბოლონიის პროცესის ამოცანების განსახორციელებლად შესაძლებლობების გაძლიერება". პროექტი დაიწყო 2009 წელს და მიზნად ისახავდა ბოლონიის პროცესის რეფორმების ეფექტურ განხორციელებას შესაბამის ინსტიტუციებში.

ექსპერტები მონაწილეობენ უმაღლესი განათლების რეფორმის სამთავრობო კომისიის მუშაობაში (2013), რომლის მიზანია უმაღლესი განათლების ახალი კანონის შემუშავება.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ქართველ ექსპერტებს გამოცდილების გაზიარების მიზნით იწვევენ მეზობელ ქვეყნებში: დავით კერესელიძე მონაწილეობდა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაში „უკრაინის უმაღლესი განათლების ევროინტეგრაცია ბოლონიის პროცესის კონტექსტში" (კიევი, უკრაინა, 25–26.10.2012) და უკრაინელი კოლეგებისათვის სპეციალურ სემინარს გაუძღვა აკრედიტაციის საკითხებზე.

ტრენინგები

ექსპერტები ატარებენ ტრენინგებს დაინტერესებული მხარეებისათვის როგორც ინფორმაციის გაზიარების/გავრცელების კონტექსტში, ასევე მოთხოვნის საპასუხოდ.

- ✓ "უნივერსიტეტების როლი ზრდასრულთა განათლებაში" ექსპერტი ი. დარჩია (2010)
- ✓ „უმაღლესი საგანამანთლებლო დაწესებულებების მენეჯმენტი" ტვინინგის პროექტის "საქართველოში ბოლონიის პროცესის ამოცანების განსახორციელებლად შესაძლებლობების გაძლიერება" ნაწილი. ექსპერტი ლ. ბაქრაძე (2011)
- ✓ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ახლად შერჩეული ექსპერტების ტრენინგი. ექსპერტი ი. დარჩია (2013 წლის დეკემბერი; 2014 წელს ტრენინგების მომდევნო ციკლი იგეგმება).

გზამკვლევები

ორი გზამკვლევი შემუშავდა ექსპერტთა მიერ 2009 წელს:

- ✓ "ერთობლივი პროგრამები და აკადემიური ხარისხები" – ლალი ბაქრაძე
- ✓ "მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლა უნივერსიტეტებში" – ირინე დარჩია

კვლევითი პროექტები

კვლევები განხორციელდა 2010–2013 წლებში ექსპერტთა და სტუდენტების მონაწილეობით (სრული ტექსტი ქართულად, ინგლისურად – მოკლე შეჯამება):

- ✓ "ხარისხის გაუმჯობესება საქართველოში - მიღწევები და პრობლემები" – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ნინო ჯავახიშვილი (კვლევითი ჯგუფის ხელმძღვანელი), ირინე დარჩია (ექსპერტი)
- ✓ "სტუდენტთა მონაწილეობა უმაღლესი საგანმანათლებო დაწესებულებების მართვაში" – ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, ნათია ანდღულაძე (კვლევითი ჯგუფის ხელმძღვანელი), ქეთევან გურჩიანი (ექსპერტი)
- ✓ "სტუდენტთა დასაქმების ხელშეწყობა" – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ნინო ჯავახიშვილი (კვლევითი ჯგუფის ხელმძღვანელი), ირინე დარჩია (ექსპერტი)
- ✓ "სადოქტორო განათლება საქართველოში" – ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, ნინო ჯავახიშვილი (კვლევითი ჯგუფის ხელმძღვანელი), ქეთევან გურჩიანი (ექსპერტი)
- ✓ "უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების სტრატეგიული განვითარება საქართველოში" – შემუშავებულია ექსპერტების ლალი ბაქრაძისა და ირინე დარჩიას მონაწილეობით

სემინარის მასალები

მომცველობითი საკითხავი მასალა მომზადდა რეგიონული სემინარისათვის, რომელიც 2010 წელს თბილისში გაიმართა საქართველოს ტემპუსის ეროვნული ოფისისა და UNICA–ს ორგანიზებით.

- ✓ „ხარისხის მართვა კვალიფიკაციების ეროვნული ჩარჩოს კონტექსტში" - რეგიონული სემინარის მასალები, ექსპერტ ი. დარჩიას მიერ შემუშავებული (მხოლოდ ინგლისურ ენაზე)

ექსპერტები ასევე მონაწილეობდნენ საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემის წლიური ანგარიშების შემუშავებაში (Georgia country fishes 2010 & 2012), და ეროვნული ანგარიშების მომზადებაში უმაღლესი განათლების ადმინისტრირებისა (2010) და ადამიანური რესურსების მართვის თაობაზე (2012).

ექსპერტების მონაწილეობა ღონისძიებებში 2009 - 2013

<u>ბოლონიის სემინარები (UNICA–ს მიერ ორგანიზებული)</u>

- ✓ “მობილობის განხორციელების შესაძლებლობები” – რომი, იტალია (2009)
- ✓ “მომავლის კომპეტენციები” – ვარშავა, პოლონეთი(2009)
- ✓ “აღიარება უმაღლეს განათლებაში” – ტალინი, ესტონეთი (2010)
- ✓ “უმაღლესი განათლების სოციალური განზომილება” – ნიქოზია, კვიპროსი (2010)
- ✓ „სასწავლო მობილობის ხელშეწყობა“ – ბრიუსელი, ბელგია (2011)
- ✓ „კურიკულუმის მოდერნიზაცია“ – ოსლო, ნორვეგია (2011)
- ✓ „განათლების ხარისხის გაუმჯობესება ინტერნაციონალიზაციის გზით“ – ლისაბონი, პორტუგალია (2012)
- ✓ „კვლევაზე დაფუძნებული განათლება: სტრატეგია და იმპლემენტაცია“ – ბუდაპეშტი, უნგრეთი (2012)
- ✓ „ბუქარესტის კონფერენციის რეკომენდაციების განხორციელება“ – ვილნიუსი, ლიტვა (2012)
- ✓ „განათლების ინტერნაციონალიზაცია“ – მადრიდი, ესპანეთი (2013)

<u>ბოლონიის მინისტერიალი</u>

- ✓ ბოლონიის მინისტერიალი – კონფერენცია – ლიუვენი, ბელგია (2009)
- ✓ ბოლონიის მინისტერიალი – საიუბილეო კონფერენცია – ბუდაპეშიტი & ვენა (2010)

<u>სასწავლო მივლინება:</u>

- ✓ უნივერსიტეტი – ბიზნესის კოოპერაცია – ბრიუსელი, ბელგია (2012)
- ✓ სტუდენტთა მომსახურება – ლონდონი, დიდი ბრიტანეთი UK (2013)

<u>ტემპუსის სემინარები & თანამდევი ღონისძიებები</u>

- ✓ ტემპუსის რეგიონული სემინარი უნივერსიტეტების მართვაზე – კიევი, უკრაინა (2010)
- ✓ სამხრეთ კავკასიის რეგიონული სემინარი “ხარისხის მართვა კვალიფიკაციათა ჩარჩოს კონტექსტში” – თბილისი, საქართველო (2011)
- ✓ მობილობის აღმოსავლეთის განზომილება – ვარშავა, პოლონეთი (2011)
- ✓ აღმოსავლეთ პარტნიორობის IV პლატფორმის ღონისძიება – კიევი, უკრაინა (2011)
- ✓ სემინარი სადოქტორო განათლებაზე – ბრიუსელი, ბელგია (2011)
- ✓ ტემპუსის რეგიონული სემინარი „ადამიანური რესურსების მართვა უმაღლეს განათლებაში“ – კიშინევი, მოლდოვეთი (2013)
- ✓ INTERUV პირველი რეგიონული კონფერენცია ერთობლივ საგანმანათლებლო პროგრამებზე – ვარშავა, პოლონეთი (2013)
- ✓ ტემპუსის სემინარი „დაფინანსების დივერსიფიკაცია, უნივერსიტეტების ავტონომია და სტრატეგიული დაგეგმარება“ - ბიშკეკი, ყირგიზეთი (2013)
- ✓ Erasmus + საინფორმაციო ღონისძიება აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებისათვის – კაუნასი, ლიტვა (2013)

<u>ზაფხულის სკოლა</u>

ზაფხულის სკოლა “ზრდასრულთა განათლება უნივერსიტეტებში“ – ორგანიზებული საქართველოს ტემპუსის ოფისის მიერ dvv-international (გერმანია), UNICA და სომხეთისა და აზერბაიჯანის ტემპუსის ოფისებთან

თანამშრომლობითა და თანადაფინანსებით. სამხრეთ კავკასიის სამივე ქვეყნის უნივერსიტეტების წარმომადგენლებისათვის ტრენინგი ჩაატარეს ევროპელმა ექსპერტებმა ავსტრიიდან და ესტონეთიდან – ბათუმი, საქართველო (2011).

<u>საერთაშორისო სემინარები (ტემპუსის ეროვნული ოფისის დაფინანსებით)</u>

- ✓ კონფერენცია "ხარისხის მართვის სისტემები" – კასელი, გერმანია (2009)
- ✓ ევროპის უნივერსიტეტთა ასოციაციის წლიური შეხვედრა სადოქტორო განათლებაზე - ლოზანა, შვეიცარია (2009)
- ✓ ევროპის უნივერსიტეტთა ასოციაციის სემინარი სადოქტორო განათლებაზე „სადოქტორო პროგრამების სტრუქტურირება" – ზაგრები, ხორვატია (2009)
- ✓ კონფერენცია "კვალიფიკაციების ეროვნული ჩარჩო" – დუბლინი, ირლანდია (2010)
- ✓ ევროპის უნივერსიტეტთა ასოციაციის სადოქტორო განათლების საბჭოს წლიური შეხვედრა – მადრიდი, ესპანეთი (2011)
- ✓ JOI.CON პროექტის საერთაშორიო კონფერენცია – ბოლონია, იტალია (2012)
- ✓ ევროპის უნივერსიტეტთა ასოციაციის სადოქტორო განათლების საბჭოს სემინარი „დოქტორნატურის დაფინანსება და ხარისხის უზრუნველყოფა" – სტოკჰოლმი, შვედეთი (2012)
- ✓ ევროპის უნივერსიტეტთა ასოციაციის სადოქტორო განათლების საბჭოს სემინარი „სტუდენტიდან მკვლევარამდე" – ვარშავა, პოლონეთი (2013)
- ✓ ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული ფორუმი – გოტენბურგი, შვედეთი (2013)